ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 17

ქ.თბილისი 23.05.2017

სხდომას ესწრებოდნენ:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

რევაზ აფხაზავა - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის, მართვის და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, სხდომის თავმჯდომარე;

თამარ ფხალაძე - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის წამყვანი სპეციალისტი, ისტორიკოსი, საბჭოს მდივანი;

გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის" პროგრამების მენეჯერი;

მარინა უშვერიძე - PH-International - საქართველოს ოფისი, სამოქალაქო განათლების პროგრამის დირექტორი;

ქეთევან აბულაძე - სსიპ - ქალაქ თბილისის #126 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე;

არჩილ სუმბაძე - შპს „ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა-თბილისის" აკადემიური დირექტორი;

გიორგი გახელაძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების სკოლის მოწვეული პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლალი შაიშმელაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

კახაბერ ერაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ნინო ჟვანია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

თამარ ხატიაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;

რამაზ გიუნაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. **შპს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ბორჯომის კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა**

მარინა შაყულაშვილი, დირექტორი;
ტატიანა მარტინენკო, ოფის მენეჯერი;
ქეთევან კიკნაძე, საინფორმაციო უზრუნველყოფის მენეჯერი.

2. **შპს ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია - ჯიჯი**

ნინო ჭიჭინაძე, დირექტორი;
მარიამ კვირიკაძე, პედაგოგი.

3. **სპს ცისიერ დიღმელაშვილის ქართულ-ფრანგული სკოლა ლიცეუმი**

ცისიერ დიღმელაშვილი, დირექტორი;
ნინო ნადირაძე, დირექტორის მოადგილე.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში- ექსპერტები):

- ქეთევან ბოტკოველი;
- თამარ ამზაშვილი;
- მარინა გოგოლაძე;
- იანინა გიგიბერია;
- გიორგი ლასხიშვილი
- ავთანდილ აბდუშელიშვილი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს წევრი რევაზ აფხაზავა.

სხდომა გაიხსნა 15:20 საათზე, საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ბორჯომის კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია - ჯიჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე სპს ცისიერ დიღმელაშვილის ქართულ-ფრანგული სკოლა ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის ხელახალი განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ ყოფილა წარმოდგენილი. საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი.

1. **შპს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ბორჯომის კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.**

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საკითხის განხილვას ესწრებოდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრი მამია ჯანჯალია.

ავტორიზაციის ექსპერტებმა ქეთევან ბოტკოველმა, თამარ ამზაშვილმა და მარინა გოგოლაძემ საბჭოს წარუდგინეს ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა და შენიშვნები.

ქეთევან ბოტკოველმა განცხადა, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ბორჯომის კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ვიზიტი განხორციელდა 2017 წლსი 15, 16 და 17 მაისს. დაწესებულება დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებთან ერთად ასევე ახორციელებდა სასტუმროს საქმისმწარმოებლის მესამე საფეხურის პროფესიულ პროგრამას. დაწესებულება მდებარეობდა ქალაქ ბორჯომში, სამსართულიანი შენობის მეორე და მესამე სართულზე, ჰქონდა 12 საკლასო ოთახი, ლაბორატორია, ბიბლიოთეკა და ყველა ის საჭირო რესურსი, რომელიც აუცილებელი იყო სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვისათვის. ვიზიტის პერიოდში სკოლას გარე პერიმეტრზე განთავსებული ჰქონდა მხოლოდ ერთი კამერა და საჭირო იყო მეორე კამერის დამონტაჟება, რომლის მონტაჟიც დაწესებულებამ დაიწყო ვიზიტის პერიოდში. სკოლის ექვსწლიანი გეგმა არ იყო გაწერილი წლების მიხედვით, რომელიც ასევე ვიზიტის პერიოდში გაიწერა კონკრეტულ წლებზე. ქეთევან ბოტკოველის განცხადებით მეტი ხარვეზი ზოგდსაგანმანათლებლო დაწესებულებასთან მიმართებაში არ დაფიქსირებულა.

ექსპერტმა მარინა გოგოლაძემ განაცხადა, რომ პროფესიული პროგრამის ნაწილშიც ასევე დაფიქსირდა უმნიშვნელო ხარვეზები, რომლებიც ვიზიტის პერიოდში გამოსწორდა. პროფესიულ პროგრამაზე ამჟამად სწავლობდა მხოლოდ 11 მოსწავლე.

პროფესიული დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრმა მამია ჯანჯალიამ დაწესებულებას მიმართა კითხვით, თუ ჰქონდათ სხვა სასწავლებელთან გაფორმებული მემორანდუმი და იმ შემთხვევისთვის თუ მოხდებოდა ამ პროგრამის გაუქმება რა ელოდებოდათ სტუდენტებს. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ჰქონდათ გაფორმებული მემორანდუმი თბილისის ერთ-ერთ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან. მამია ჯანჯალია ასევე დაინტერესდა არსებული ფართის და ინფრასტრუქტურის მიხედვით რამდენი სტუდენტის მიღებას შეძლებდა დაწესებულება. ექსპერტმა მარინა გოგოლაძემ განაცხადა, რომ დაწესებულებაში სასწავლო პროცესი

მიმდინარეობდა ორ ცვლაში და არსებული მატერიალური რესურსით დაწესებულება შეძლებდა 100 პროფესიული სტუდენტის მიღებას.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა კაბერ ერაძემ დაწესებულების დირექტორს დაუსვა რამოდენიმე შეკითხვა.

1. რამდენად რელევანტური იქნებოდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულების მიხედვით ბორჯომში მცხოვრები სტუდენტის თბილისში სწავლის გაგრძელება პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, თუმცა იქვე დასძინა, რომ ეს იურიდიულად პრობლემას არ წარმოადგენდა.

2. დაწესებულების დებულების მიხედვით პროგრამის გაუქმების შემთხვევაში დაწესებულება სტუდენტს სთავაზობდა თავისავე სხვა მომიჯნავე პროგრამაზე საწავლებას, თუმცა დაწესებულებას ჰქონდა მხოლოდ ერთი პროგრამა, შესაბამისად დებულებაში ამის გაწერა არ იყო სწორი.

3. არსებული ხელშეკრულების თანახმად რამდენად დადიოდნენ სტუდენტები პრაქტიკის ობიექტებში.

4. დაწესებულებას ჰქონდა თუ არა დამკვეთისათვის 100 კვალიფიციური სტუდენტის მომზადების მზაობა.

ექსპერტმა ქეთევან ბოტკოველმა განაცხადა, რომ ვიზიტის პერიოდში ექსპერტები იმყოფებოდნენ სასტუმროში, სადაც პირადად ნახეს სტუდენტთა პრაქტიკის ობიექტზე დასწრება, ასევე მოხდა გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან. ექსპერტმა ქეთევან ბოტკოველმა განცხადა, რომ დაწესებულების მატერიალური რესურსი სრულად აკმაყოფილებდა 100 სტუდენტის პროფესიულ სწავლებას.

კახაბერ ერაძე ასევე დაინტერესდა, ვინაიდან 2019 წლის 1 იანვრიდან აღარ იარსებებდა საგნობრივი პროგრამები, რას აპირებდა დაწესებულება ამ მიმართულებით და როგორი იყო დაწესებულების სტრატეგიული გეგმა მოდულურ პროგრამებზე გადასვლასთან დაკავშირებით. დაწესებულების დირექტორმა განაცხადა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით გადიოდნენ კონსულტაციებს, როგორც ექსპერტებთან ასევე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და სტრატეგიული გეგმის მიხედვით 2019 წლის 1 ინავრისთვის დაწესებულება უზრუნველყოფდა მოდულ პროგრამაზე გადასვლას.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით დაწესებულებას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 100 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლისათვის და 50 პროფესიული სტუდენტისათვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ბორჯომის კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 100-ით განსაზღვრის საკითხი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების პროგრამების განხორციელებისათვის.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ბორჯომის კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლისთვის სასტუმრო საქმის მწარმოებლის მესამე საფეხურის პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭებისა და პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის 50-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-13 მუხლისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ბორჯომის კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას (ს/კ:226155763) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით, ასევე, სასტუმრო საქმის მწარმოებლის მესამე საფეხურის პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილება.

შპს

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ბორჯომის კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 150-ით, მათ შორის დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამებისთვის 100-ით, ხოლო პროფესიული პროგრამისათვის 50-ით.

2. შპს ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია - ჯიჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა იანინა გიგიბერიამ და გიორგი ლასხიშვილმა. ექპერტმა იანინა გიგბერიამ განაცხადა, რომ გიმნაზია ჯიჯის ხედვას წარმოადგენდა „უსაფრთხო და პოზიტიურ გარემოში, პროფესიონალთა გუნდის მიერ, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და სწავლების უახლესი მეთოდების გამოყენებით, ისეთი თაობების აღზრდა, რომლებიც შეძლებენ თვითრეალიზებას და პოზიტიური ცვლილებების განხორციელებას მუდმივად განვითარებად სამყაროში".

გიმნაზიაში ამჟამად ფუნქციონირებდა პირველი და მეორე საფეხური. ავტორიზაციის გავლის შემდეგ დაიმატებდნენ მესამე საფეხურს.

დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა იყო თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი, მასწავლებლებს ყველანაირი პირობა ჰქონდათ შექმნილი სასწავლო პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებისათვის. გიმნაზიაში აქტიურად იყო დანერგილი პროექტებით სწავლება. ექსპერტთა განცხადებით ვიზიტის პერიოდში საგანამანათლებლო პროგრამებთან მიმართებით არსებითი ხასიათის ხარვეზები არ დაფიქსირებულა, შემაჯამებელ დავალებებთან დაკავშირებთ დაწესებულებას მიეცა რამოდენიმე რეკომენდაცია.

მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ ვიზიტის დროს წარმოდგენილი იყო კერძო საკუთრების მფლობელსა და სკოლის დამფუძნებელს შორის გაფორმებული საკუთრების მინდობის ხელშეკრულება. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით მინდობილობით გაფორმებული ფართობი და პარამეტრები არ ემთხვეოდა სკოლის მფლობელობაში არსებულ ფართობს. ექსპერტთა ვიზიტის დროს გაფორმდა ხელახალი საკუთრების მინდობის ხელშეკრულება (ტრასტი) და დაზუსტდა სკოლის მფლობელობაში არსებული ფართი.

ექსპერტთა ვიზიტის დროს მოხდა საევაკუაციო გეგმების განახლება ახალი მოთხოვნების შესაბამისად, ასევე გაფორმადა ხელშეკრულება სკოლის ექიმთან.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით რამდენით სურდა

განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 250 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

საბჭომ იმსჯელა შპს ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია - ჯიჯის საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ იგი აკმაყოფილებდა ავტორიზაციის სამივე სტანდარტს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია - ჯიჯისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 250-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ალექსანდრე ღურწკაიას გიმნაზია - ჯიჯის (ს/კ: 220389559) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 250-ით.

3. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე სპს ცისიერ დიღმელაშვილის ქართულ-ფრანგული სკოლა ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის ხელახალი განხილვა.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სხდომის თავმჯდომარემ რევაზ აფხაზავამ საბჭოს წევრებს შეახსენა, რომ იგი ესწრებოდა სააპელაციო საბჭოს სხდომას, რომელზეც მოხდა დაწესებულების სააპელაციო საჩივრის განხილვა. სააპელაციო საბჭოს ჰქონდა პოზიტიური განწყობა სკოლის აკადემიურ საქმიანობასთან მიმართებით. სააპელაციო საბჭომ ასევე იმსჯელა იმ ხარვეზებზე, რომელიც დაწესებულებაში არსებობდა, თუმცა სკოლის საქმიანობიდან გამომდინარე მიიღო გადაწყვეტილება საკითხი ხელახალი განხილვის მიზნით დაებრუნებინა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოსთვის. რევაზ აფხაზავამ მიმართა ექსპერტ ავთანდილ აბდუშელიშვილს საკითხის კიდევ ერთხელ განხილვის მიზნით ძალიან მოკლედ ჩამოეყალიბებინა ექსპერტთა ვიზიტის დროს გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები.

ექსპერტ ავთანდილ აბდუშელიშვილმა ყურადღება გაამახვილ იმ კონკრეტული დარღვევების შესახებ , რომლებიც დაფიქსირდა ვიზიტის პერიოდში.

1) საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ:

ა) სპს ცისიერ დიღმელაშვილის ქართულ-ფრანგულმა სკოლა-ლიცეუმმა ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს წარმოადგინა 2016/17 წლების სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელსაც 2016 წლის 5 სექტემბერს ხელს აწერდა და მიუთითებდა „ვამტკიცებ" სკოლის დირექტორი. თუმცა სკოლის ბრძანებათა რეგისტრაციის ჟურნალში არ იძებნებოდა შესაბამისი ჩანაწერი, ,,სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ" სკოლის დირექტორის 2016 წლის 5 სექტემბერს ბრძანება.

ბ) სკოლა პირველ უცხო ენად ირჩევდა ფრანგულ ენას და პირველ კლასში ნაცვლად ინგლისური ენისა, ასწავლიდა ფრანგულ ენას (კვირეული დატვირთვა 3 სთ.), ხოლო ინგლისური ენის შესწავლას იწყებდა მეოთხე კლასიდან (როგორც მეორე უცხო ენა) მეთორმეტე კლასის ჩათვლით (კვირეული დატვირთვა 2 სთ). ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლამ ვერ წარმოადგინა იმის დამადასტურებელი მტკიცებულება (დოკუმენტაცია, გადაწყვეტილებები, წერილები), რომ აღნიშნული საკითხი შეთანხმებული იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამის უწყებასთან. სასკოლო სასწავლო გეგმის თანხმად, სკოლა მეექვსე კლასში ინგლისურ ენაში ხელმძღვანელობდა Makmillan-ის დ3 სახელმძღვანელოთი, თუმცა ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, დაწყებითი საფეხური დაძლეულად ითვლებოდა, როდესაც მოსწავლე ინგლისურ ენაში

ფლობდა დ6-ის სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სავალდებულო საათების გარდა,VII-XI კლასებში სკოლა დამატებით სთავაზობდა მესამე უცხო ენას - რუსულს (კვირეული დატვირთვა 2 სთ);

გ) თემატურ-კალენდარული გეგმები შეიცავდა ტექნიკურ ხარვეზებს (სიტყვები გადაბმული იყო ერთმანეთზე და დოკუმენტი ტექნიკურად იყო გაუმართავი). სკოლის მიერ წარმოდგენილი შევსებული ფორმებით რიგ შემთხვევებში არ დგინდებოდა შემაჯამებელი წერის მიზნებისა და შედეგების მკაფიო კავშირი ეროვნული სასწავლო გეგმის კონკრეტული საგნების სტანდარტების შედეგებთან.

დ) ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლამ ვერ წარმოადგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ინკლუზიური განათლების შესახებ, რომელსაც დაწესებულება გამოიყენებდა საჭიროების შემთხვევაში.

ე) ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლამ ვერ წარმოადგინა საკლასო ჟურნალები. დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, სკოლას ჰქონდა განსხვავებული შეფასების კრიტერიუმები, რაც არ იყო თავსებადი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ რეკომენდირებულ საკლასო ჟურნალთან.

ვ) სკოლის დირექტორის განცხადებით, გარდა მიმდინარე (საკლასო, საშინაო) და შემაჯამებელი შეფასების საშუალო არითმეტიკულისა, ისინი მოსწავლეებს კიდევ ორი კომპონენტით აფასებდნენ, ესენი იყო: რეფერატი (ესე, თარგმანი) და სემესტრული გამოცდა. ამასთან, სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების უწყისებით ვერ დგინდებოდა, თუ რომელ რიცხვებში ჰქონდათ მიღებული მოსწავლეებს შეფასებები. შეფასების უწყისებში ასევე არ იყო გათვალისწინებული საგნების მიხედვით მოსწავლეთა გაცდენების დაჯამების გრაფა. სემესტრის ბოლოს კლასის დამრიგებელი აჯამებდა მოსწავლეთა გაცდენებს დღეების მიხედვით.

ვ) სასკოლო სასწავლო გეგმით დგინდებოდა, რომ საბაზო და საშუალო საფეხურზე. სკოლა თითქმის ყველა საგანში ატარებდა სემესტრულ და წლიურ გამოცდას გამოცდის ნიშანი მოქმედებდა მოსწავლის სემესტრულ და წლიურ შეფასებაზე. ხოლო აღნიშნული რეგულაცია შეუსაბამობაში მოდიოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის N 36/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ N118/ნ ბრძანებასთან, რომლის თანახმადაც წლიურ გამოცდებთან დაკავშირებით დაწესდა შეზღუდვა. კერძოდ, სკოლას უფლება ჰქონდა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში კლასისათვის დაენიშნა გამოცდა არაუმეტეს ორ საგანში. ამასთან, ერთსა და იმავე საგანში გამოცდებს შორის უნდა ყოფილიყო ორწლიანი შუალედი მაინც.

2) მატერიალური რესურსის სტანდარტთან დაკავშირებით:

ა) დაწესებულება მდებარეობდა საგარეჯოს რაიონში სოფელ პატარძეულში. ორსართულიანი შენობის პირველ და მეორე სართულზე. სულ 555 კვ.მ. ფართზე. შენობის პირველ სართულზე განთავსებული იყო ასევე საბავშვო ბაღი, რომელიც არ იყო გამიჯნული სკოლის ფართისაგან. აღნიშნული უძრავი ქონების მესაკუთრე იყო საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობა. აღნიშნული ფართის სარგებლობის თაობაზე 2012 წლის 20 თებერვლიდან, გაფომებული იყო იჯარის ხელშეკრულება რომლიც ძალაში იყო 2024 წლის 3 ოქტომბრამდე.

ბ) სკოლის შენობას ჰქონდა 2 შესასვლელი. სკოლაში იყო 13 საკლასო ოთახი, რომელშიც განთავსებული იყო 68 ორადგილიანი, 57 ინდივიდუალური მერხი და 140 სკამი, სულ 125 მერხი და 140 სკამი. სკოლამ წარმოადგინა 92 მერხის და 95 სკამის შესყიდვის, ასევე 33 მერხის და 45 სკამის ჩუქების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

გ) სკოლა ფლობდა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის არასრულ აღჭურვილობას. ხელსაწყოების ნაწილი სკოლას ჰქონდა შეძენილი, ხოლო ნაწილი საჩუქრად მიღებული. 2017

წლის 25 იანვარს სკოლას ფიზიკურ პირ დავით სონღულაშვილთან დადებული ჰქონდა ხელშეკრულება ვირტუალური ლაბორატორიის შესყიდვაზე, ხელშეკრულების საფასურიდან გადარიცხული იყო თანხის ნაწილი. სკოლაში ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს ვირტუალური ლაბორატორიისთვის არ იყო მოწყობილი შესაბამისი ინფრასტუქტურა და ლაბორატორია არ იყო ფუნქციური.

დ) სკოლას ადგილობრივი წყლის ჭაბურღილიდან მიეწოდებოდა სასმელი წყალი, თუმცა ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლამ ვერ წარმოადგინა სასმელი წყლის ვარგისიანობის ლაბორატორიული დასკვნა. სკოლას ჰქონდა საპირფარეშო 3 ინდივიდუალური წერტილით (1 გოგონებისთვის, 1 ბიჭებისთვის და 1 სსსმ პირებისა და პედაგოგებისთვის), რომელიც განთავსებული იყო სკოლის ეზოში, შენობიდან 20-30 მეტრის მოშორებით. საპირფარეშოში არ იყო დაცული ჰიგიენის ნორმები, არ იყო წყალი და სსსმ პირებისთვის გათვალისწინებული შესაბამისი ინფრასტუქტურა, თუმცა სსსმ პირებისთვის კაბინამდე მოწყობილი იყო ეტლით მისასვლელი ბილიკი. ადმინისტრაციასთან გასაუბრებით გაირკვა, რომ სოფელში არ იყო კანალიზაციის სისტემა, რის გამოც ვერ ხერხდებოდა სველი წერტილების შენობაში მოწყობა.

ე) სკოლის ბიბლიოთეკა აღჭურვილი იყო სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ყველა გრიფირებულ სახელმძღვანელოთი კლასების მიხედვით. ყველა წიგნი გატარებული იყო სათანადო წესით. თუმცა სასკოლო სახელმძღვანელოების ნაწილზე მხოლოდ სასკოლო ბეჭედი იყო დატანილი და არ იყო სათანადო წესით დამუშავებული.

ვ) სკოლას ჰქონდა ვებ-გვერდი www.patarzeuliliceumi.com., თუმცა ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლამ ვერ წარმოადგინა დომენისა და ჰოსტინგის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ზ) დაწესებულებას არ ჰქონდა შემუშავებული საგანგებო სიტუაციებში რეაგირების გეგმა ასევე არ იყო განსაზღვრული სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლის სამასწავლებლოში განთავსებული იყო პირველადი დახმარების აღმოჩენისთვის საჭირო მედიკამენტები. სკოლა არ ფლობდა პირველადი დახმარების აღმოჩენისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურას. სკოლის სამასწავლებლოში, რომელიც სამედიცინო კაბინეტის ფუნქციას ითავსებდა არ იყო გამიჯნული სივრცე ავადმყოფისთვის პირველადი დახმარების აღმოსაჩენად.

თ) გარე პერიმეტრის კონტროლისთვის დამონტაჟებული კამერა არ შეესაბამებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემების პარამეტრების შესაბამის მოთხოვნას.

3) ადამიანური რესურსის სტანდარტთან დაკავშირებით:

ა) სკოლაში დასაქმებული იყო 1 პედაგოგი, რომელსაც არ ჰქონდა უმაღლესი განათლების კვალიფიკაცია, მას დამთავრებული ჰქონდა საგარეჯოს პოლიტექნიკური ტექნიკუმი. 2016 წელს სკოლას გამოსაცდელი ვადით გაფორმებული ჰქონდა პირობით ხელშეკრულება 3 პირთან, რომელთაც ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 თებერვლის N68 დადგენილებაში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად. ამ ეტაპზე მასწავლებლობის უფლება არ ჰქონდათ. აღნიშნული პირები სკოლაში ასწავლიდნენ ქიმიას და სახვით და გამოყენებით ხელოვნებას. სკოლის დირექტორთან გასაუბრებით გაირკვა, რომ მან აღნიშნულ 3 პირთან ხელშეკრულების გაფორმების დროს იხელმძღვანელა სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ მისდამი პირადად მიწერილი სარეკომენდაციო წერილით.

საბჭოს წევრმა არჩილ სუმბაძემ მიმართა სკოლის დირექტორს, რომ ფრანგული ენის პირველი კლასიდან სავალდებულო საგნად სწავლების ნებართვის მოპოვება არ წარმოადგენდა პრობლემას, იმ შემთხვევაში თუ დაწესებულება სასწავლო წლის დაწყებამდე გონივრულ ვადაში მიმართავდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტს, რა დროსაც წარუდგენდა დასაბუთებულ სასკოლო სასაწავლო გეგმის პროექტს, რომელშიც კონკრეტულად იქნებოდა გაწერილი მოთხოვნა ფრანგული ენის პირველ კლასიდან სავალდებულო საგნად სწავლების შესახებ. არჩილ სუმბაძემ ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტი თითქმის ყოველთვის თანამშრომლობდა დაწესებულებებთან, შესაბამისად ამ პრობლემის მოგვარება არ იქნებოდა რთული.

დაწესებულების დირექტორმა ცისიერ დიღმელაშვილმა განმარტა, რომ არსებული ხარვეზები გამოსწორდა და შედგენილი ჰქონდათ ახალი საათობრივი ბადე, რის მიხედვითაც სკოლაში ინგლისურის სწავლება დაიწყებოდა პირველი კლასიდან. მან აღნიშნა, რომ გამოსწორდა ჟურნალებთან დაკავშირებული ხარვეზიც. დაწესებულებამ მიმართა შესაბამის სამსახურს სკოლის ჟურნალებთან დაკავშირებით და ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში დაწესებულება ახალი სასწავლო წლიდან ყველა კლასში დაიწყებდა ჟურნალების წარმოებას. რაც შეეხებოდა ხარვეზს ლაბორატორიასთან დაკავშირებით, ცისიერ დიღმელაშვილმა განმარტა, რომ ახალი სასწავლო წლიდან დაწესებულება ისარგებლებს ვირტუალური ლაბორატორიით ყველა იმ კლასში, სადაც ისწავლებოდა შესაბამისი საგნები. სკოლის დირექტორმა ასევე აღნიშნა, რომ სკოლის საპირფარეშოებთან დამონტაჟდა წყლის ავზი, სკოლის შენობის მეორე სართულზე მოეწყობოდა სსსმ მოსწავლისთვის სტანდარტით გათვალისწინებული სველი წერტილი. დაწესებულებაში ასევე მოეწყო პირველადი დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა, სკოლამ შეიძინა 2 გარეპერიმეტრის ვიდეოკამერა, რომლის მონტაჟიც მოხდებოდა უახლოეს მომავალში. სკოლის და საბავშვო ბაღის შესასვლელები გაიმიჯნა ერთმანეთისაგან. ცისიერ დიღმელაშვილის განმარტებით ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადებულ დასკვნაში გამოვლენილი ხარვეზების ძირითადი ნაწილი სრულად იყო გამოსწორებული და მხოლოდ რამოდენიმე შემთხვევაში ტექნიკური სამუშაოები იყო ჩასატრებელი, რომელთა გამოსწორებასაც დაწესებულება მოხდენდა უახლოეს მომავალში.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით რამდენით სურდა განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 120 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტი.

საბჭომ იმსჯელა სპს ცისიერ დიღმელაშვილის ქართულ-ფრანგული სკოლა ლიცეუმის საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე. საბჭოს წევრმა მარინა უშვერიძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ მისთვის არ იყო საკმარისი დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მკიცებულებები რეალური

სიტუაციის შესაფასებლად. მისი აზრით ვინაიდან ვერც ავტორიზაციის ექსპერტები ადასტურებდნენ იმას, თუ რამდენად გამოსწორდა ყველა ხარვეზი, მისთვის ძნელი იყო ნდობის ფაქტორზე დაყრდნობით დასკვნის გაკეთება. საბჭომ აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში სპს ცისიერ დიღმელაშვილის ქართულ-ფრანგულ სკოლა-ლიცეუმში მიმდინარე წლის ოქტომბრის თვეში განხორციელებულიყო მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სპს ცისიერ დიღმელაშვილის ქართულ-ფრანგულ სკოლა-ლიცეუმისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის 120-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა საბჭოს წევრმა მარინა უშვერიძემ.

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, სპს ცისიერ დიღმელაშვილის ქართულ-ფრანგულ სკოლა-ლიცეუმს (ს/კ:238113439) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 120-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ 17:00 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
რევაზ აფხაზავა

მდივანი
თამარ ფხალაძე